ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	9 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკჰშილის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

კნეინა ლიუბოვ პეტრე ბაზილევსკის ასული, კნეინა ქეთევან დიმიტრის ასული და თავადი კოსტანტინე დიმიტრის-ძე ერისთავები აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ შაბათს, 17 მარტს, დილის ათს საათზედ დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის თ. ელიზბარ დიმიტრის ძის ერისთავის მოსახსენებლად. 2—1

ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ახალი ამბავი

*** პარასკევს, 16 მარტს, საღამოს 7½ საათზე, დანიშნულია „კავკასიის სამკურნალო საზოგადოების" კრება. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებაზე. მორიგ საქმეთა გარდა კრება მოისმენს მოხსენებას ანდრეევსკისას, პოლიკოვისას და შუროვინისას.

*** ჩვენ მივიღეთ ოლთისის ქალაქიდამ 32 მან., რომელიც შემოუწირავთ ნახევარი განსვენებულის დიმ. ბაქრაძის ფონდისა და ნახევარიც წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ: ლ. პ. ნინიაშვილს 10 მან., ნ. რ. ალექსიძეს 10 მან., მღ. ნ. ნათიძეს 10 მან. და პ. ი. ჩინჩალაძეს 2 მან. წინად ფონდისა იყო 413 მან., შესდგა სულ 429 მან.

*** იმავე ფონდის სასარგებლოდ მოგვივიდა ონიდგან 74 მან. დღეს არის რედაქციაში სულ 503 მან.

*** გუშინ-წინ, 13 მარტს, ტფილისის საზრანიეში გამართული იყო კონცერტი წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, კონცერტმა იმდენი ხალხი ვერ მოიზიდა, რამდენიც მოსალოდნელი იყო, თუმცა პროგრამით კონცერტს არა უჭირდა-რა. საერთო ყურადღება და აღტაცება გამოიწვია, სხვათა შორის, ბ-ნმა ონდრჟიჩეკმა, რომელიც დიდის ხელოვნებით უკრავდა „სკრიპკას" და რამდენჯერმე განიმეორა კიდეც საზოგადოების თხოვნით. კონცერტს შემდეგ ცეკვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ საზოგადოების სიმცირის გამო ვერ შესდგა.

*** სამტრედია: 12 მარტს აქ ცეცხლი გაჩნდა და რამდენიმე მოსახლე გადიწვა. დუქნებსაც მოედო ცეცხლი, მაგრამ ხალხმა დიდის მეცადინეობით და გარჯით დაიფარა გადაწვისაგან.

*** გაზ. „Нов. Вр."-ია ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე დააწესებს ცალკე კომისიას, რომლის ვალიც იქნება გამოიკვლიოს, რა გზითა და რა ღონის-ძიებით მოხერხდება რუსების დასახლება იმიერ-კასპიის მხარეშიო. ამ აზრითვე შარშან მერვის მხარეს დაარსდა სამეურნეო ფერმა, რომელსაც აზრად აქვს გაავრცელოს ცოდნა იმისი, თუ როგორ უნდა მოუარონ და მოიყვანონ ის მცენარენი, რაც იმ მხარესა ხარობსო: ბრინჯი, ბამბა, ვაზი, სვია და სხვ.

*** გორის საქალაქო საბჭოს გამოუგზავნია ტფილისში უსინათლოთათვის დაარსებულის სამზრუნველოსათვის 50 მან. შესაწირავად (გაზ. „კავკაზი").

*** იმავე გაზეთს სწერენ ოლთისიდგან, რომ აქ მოინათლა ამ დღეებში ერთი აქაური მაჰმადიანი დედაკაციო. იმის შემდეგ ერთმა მაჰმადიანთა დედაკაცმა კიდევ მოინდომა მონათვლა, ხოლო ამას წინად მიიღო მართლ-მადიდებლობა მაჰმადიანთა სამღვთო წერილის მასწავლებელმა ამუ ხოჯამ აქაურის სამოქალაქო სასწავლებლისამაო.

*** პოლიციის მეხუთე ნაწილში, მარტის 13, ტფილისის მცხოვრებელს ლევან შახნაინცს იმასთან მოსამსახურედ ნამყოფმა სოსო მაცაბერიძემ, რომელიც ქუთაისის გუბერნიიდგან არის, მოჰპარა 80 მ. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთეულობა, მაგრამ პოლიციელმა მოასწრო, შეიპყრო ნაქურდალითურთ და გამომძიებელს გადასცა.

აბრეშუმის მოყვანა ტფილისის გუბერნიაში.

ბორჩალოს მაზრაში აბრეშუმის მოყვანას მისდევენ შემდეგ სოფლებში: არაჰლოში, ახლი-მაჰმუდლოში, ბაითალში, ქვემო და ზემო სარალში, სეიდ-ქოჯალაში, მამალაში და დიდ შულავერში. სულ ერთ წელიწადში მოუყვანიათ 139 გირვანქა აბრეშუმი. ძველად ძალიან გავრცელებული ყოფილა აბრეშუმის მოყვანა, ეხლა-კი დაცემულა. მაინც 1888 წელს შეუკრეფიათ 125 ფუთი. მკვიდრნი აბრეშუმისას აკეთებენ ქსოვილს ნაჭრობით ხუთიდამ ათ არშინამდე და იკერავენ საზაფხულო ტანისამოსს. არშინი ამ გვარის ქსოვილისა ღირს ათ შაურიდგან სამ აბაზ-უზალთუნამდე. გირვანქა აბრეშუმისა-კი ღირს სამი მან. ამ მაზრაში ეხლაც არის რამდენიმე თავ-მინებებული აბრეშუმის პლანტაცია. თელავის მაზრაში 1888 წელს 500 ფუთამდის მოუყვანიათ აბრეშუმი. აქაც, როგორც სიღნაღში, 15—20 წლის წინად, ძალიან მისდევდნენ მკვიდრნი აბრეშუმის მოყვანას და დიდს ხეირსაც იძლეოდა ეს წარმოება, მაგრამ ეხლა თელავის მაზრაშიაც ბევრი მოიპოვება თავ-მინებებული თუთის პლანტაცია. ხუთი-ექვსის წლის წინად თელავის მაზრას ყურადღება მიაქცია ტფილისის სამეურნეო საზოგადოებამ, რომელმაც უსასყიდლოდ დაურიგა მკვიდრთ ცელლიალურის აბრეშუმის თესლი და დაბეჭდა ქართულად დარიგება, თუ როგორ უნდა მოევლოს ჭიას. შეიძლება ამ მრეწველობას თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს თელავის მაზრისათვის. ფუთი აბრეშუმი ღირს 120—160 მანეთამდე. აბრეშუმისას აკეთებენ ქსოვილებს, რომლის არშინი ღირს 80 კაპეიკიდამ შვიდ აბაზამდე. ამ ბოლო დროს ახალციხის მაზრაშიაც დაუწყიათ აბრეშუმის მოყვანა. ერთ მემამულეს, გვარად ათაბეგოვს, გაუშენებია თუთის პლანტაცია, სადაც უხარებია 5,000-მდის თუთის ხე. აბრეშუმის მოყვანამ, შეიძლება, თუ მეცადინეობა არ დააკლეს, ამ მაზრაშიაც რიგიანად მოიკიდოს ფეხი.

ფელეტონი

ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

X*)

საღამო იყო, როდესაც სოფელში ნიკოს ტფილისიდგან დაბრუნების ხმა გავარდა. ყველა ეჩქარებოდა დაემთავრებინა დღიური საქმე, რომ ბატონთან მისულიყო. რისთვის? თითონაც კარგად არ იცოდა. თუმცა ნიკოს ყველასთვის ნათხოვნი ჰქონდა საღამოზე იმასთან შეკრებილიყვნენ ხოლმე, მაგრამ ეს განა საკმარისი იყო, აჩქარებულიყო იმის თხოვნის შესრულებისათვის! მერე ნიკომ ხომ არ უბძანა, ისე სთხოვა, თუ არ დაგეზარებათ, მნახეთ ხოლმეო. მაგრამ მთელის დღის მუშაობის შემდეგ, განა ყველას ის არ ერჩივნა კრძალვით სკამზე ჯდომის მაგივრად წამოწოლილი თავისი ჯანი დაესვენებინა? არა, აქ არც ბატონის შიში იყო, არც ხათრი. უფრო სხვა ტკივილი ჰქონდათ. ეს ტკივილი დიდის ხნით მთელს არსებაში გასჯდომოდათ. არ იცოდნენ, რითი მოეშორებინათ ეს ტკივილი. ჰგრძნობდნენ-კი, რომ თითქო ნიკოსთან ახლო ყოფნა მალამოსავით ეცხობოდა მათ იარას და წყლულის დაამება ნეტარებასავით საამური იყო მათთვის. არ ესმოდათ, არ იცოდნენ, რათა და როგორ, მაგრამ სწამდათ-კი, რომ ეს კაცი მადლიანს კაცსა ჰგავსო და თუ შველა უნდა ვისმე ჩვენი, მაგას უფრო უნდაო. ნიკო ჩვენი მხსნელია, იმის ღმერთის ჭირიმეო.

სახლში დიდი ფაცა-ფუცი იყო: დიდი და პატარა, მოხუცს გარდა, ყველა გარბოდ-გამორბოდა, ყველას უნდოდა გაეგონა, ნიკო რას იტყოდა, ყველას უნდოდა, ევსიამოვნო რითიმე ჩემი ბატონიო. ლათო გახარებული პეპელასავით დაფრინავდა ოთახიდგან ოთახში. რამდენჯერაც მოუხდებოდა თავის პაპას ოთახში გავლა, მოხუცი მოუთმენლად ჰკითხავდა: „რაო, შვილო, რას ამბობს?" გულ-ამოვარდნით ეუბნებოდა: „ეხლავე, პაპა, ეხლავე!" და ისევ მალე გავარდებოდა. მოხუცი უძლურების ნიშნად ერთს პირს გაატკაცუნებდა, თავს გააქნევდა და ისევ ჩვეულებრივ სახეს მიიღებდა.

მეორე დღეს ახლო სოფელში დღეობა იყო. ზოგი გლეხკაცი, ღამის სათევლად გამზადებული, მაინც ჯერ აქ მოვიდა, რომ შეეტყო, ნიკო რას იტყოდა; დედაკაცებიც-კი მალულად ნიკოს ყურს უგდებდნენ ხოლმე.

— ჯერ ამის მეტს ვერცარას გეტყვით, გაათავა ნიკომ ლაპარაკი იმ საღამოს: ცოტა დაღალული ვარ, დრო ჩვენი არ არის?! სად წაგვივა; ხვალ-კი დაღალული იქნებით და ზეგიდგან ყოველ საღამოს მნახეთ ხოლმე!

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, უპასუხა ხალხმა: შენ კარგად ბძანდებოდე. მოეშორდეთ, კაცო, მოსვენება უნდა, უთხრეს ერთმანეთს გლეხებმა.

— უკაცრავადა ვარ.

— რას ბძანებთ, ბატონო, ჩვენ შეგაწუხეთ.

— მაშ ნახვამდის, უთხრა უკანასკნელად ნიკომ; იმხიარულეთ დღეობაში, დარდი და ნაღველი გულიდამ გადაგივარდებათ, ქეიფის ჯავრი ამოიყარეთ, ხანდახან კარგია.

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, უპასუხა გულის ტკივილით ხალხმა და ნელ-ნელა დაიშალა.

— ყადრი არ ვიცით, შევაწუხეთ ბატონი, სთქვა შიომ.

— ღვთის კაცია, მოგვიტევებს, უპასუხა მეორემ.

— ღვთის კაცია, ღვთისა, გაიმეორეს ამოოხვრით სხვებმაც.

დაიშალა თუ არა ხალხი, ლათო ხტუნვით შევარდა მოხუცთან.

— გამახარე, შვილო, გამახარე! ვი ჰმართა ხვეწნით მოხუცმა.

— ეხლავე, პაპა, ეხლავე. აი ეს არის ეხლა დაიშალა ხალხი, იმათ უცდიდი, აღარ მოშორდებიან ხოლმე ბატონს და აწუხებენ!

— სოსეზე რა სთქვა, შვილო, სოსეზე? ჰკითხა მოუთმენლად მოხუცმა.

— ისა სთქვა სოსეზე, რომა... რა ვქნა, კარგად არ მახსოვს: კარგი სთქვა.

— ძალიან მოწყენილიაო, დედა? არ უთქვამს?

— უი, ბატონი მობძანდება! წამოიძახა ლათომ.

— ნუ, თომა, ნუ ირჯები, გეთაყვა, თორემ ეხლავე წავალ და სოსეს ამბავს არ გიამბობ, უთხრა ნიკომ, როდესაც მოხუცმა ფეხზე ადგომა დააპირა: ლათო, ნუ ააყენებ მოხუცს!

— რა უშავს, ბატონო, წამოდგეს, მიუგო სიცილით ლათომ და მოხუცს ხელი მიაშველა.

ნიკომ ხუმრობით ლათოს ყური მოსწია, მერე მოხუცს მოჰკიდა ხელი და თითქმის ძალათი დასვა.

— ეხლა-კი გიამბობ სოსეს ამბავს, დაიწყო ნიკომ: შუა დღე იქნებოდა, მეტეხის ციხეში რომ მივედი. ციხის უფროსს ვსთხოვე, ლომიძის ნახვა მინდა-მეთქი.

— ქა, ლომიძეს ეძახიან სოსესა? იკითხა სიცილით ლათომ.

— მოიცა, დედა, მოიცა, გამაგონე..

—..ორს წამს არ გაუვლია... ეხვედავ... ერთი ვიღაც ყმაწვილი ბიჭი, ლოყებ-გაწითლებული, მკერდ გადმოგდებული ლომსავით მე დამიპირდაპირდა. ვუყურებ და შევნატრი ამ ბიჭს: ვინ არის, ვფიქრობ, ან ჩემსკენ რად მოდის? შენი ჭირიმე, ვეღარ მიცანი, ნიკოო? დაიძახა.

— სოსე, ჩემი სოსე!.. წამოიძახა სიხარულის ცრემლით მოხუცმა და ორივე ხელები ნიკოსკენ გაიწოდა: ბატონო, ჩემო ღმერთო, ხელი მიბოძე, გემთხვიო!..

ნიკომ, მოხუცის ცრემლით აღელვებულმა, გონება დაუტანებლივ ერთი ხელი გაუწოდა მოხუცს და მეორე მხარზე დაადო.

— დამშვიდდი, თომა, რა გატირებს?! მე ისე მეგონა, გაგახარებდი-მეთქი, ამშვიდებდა ნიკო აღელვებულს ბერიკაცს.

— მიხარიან, მიხარიან... ჩემი სოსე... ამბობდა ცრემლით მოხუცი... მერე? შენი მუხლის ჭირიმე, რაო? ჰკითხა მოხუცმა, როდესაც პატარა დაშოშმინდა.

— ძალიან კარგად ვარო, პატარა დავისვენეო. მზა მხარეულს მაჰმევენ და მასმევენო.

— ვენაცვალოს იმის პაპა! სახლისას იკითხავდა?..

— ჰო, იკითხა...

— რაო? ყვავრი არ მოუტანიათო, ჰა?

— მე დავასწარი, ნურაფრის ფიქრი ნუ გექნება, მომვლელი კარგი ჰყავს მეთქი.

— ჰო, შენი ჭირიმე, ჰო. ი ჩიტა-

*) ნ. „ივერია" № 45, 46, 48, 49, 51, და 55.

დაბადება

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე, 1 მარტი. ბუნებამ, როგორც იყო, გამოიდეგიმა სიდათის ძალისაგან, გამოიფეხეზდა, გაფანდა ცივი და ნოტოო სავანე ფედამიწის ზურგს. ცხოველმა მზემ შეუშრო მიწის ტრემლიანი თვალები და მეგობრულად დაჰკოცნა, ჩაეგონა შავ გულში. სპეტაკნი სხიანი ფდის მანათობელისა მეკირეხლად მოეფინენ ჩვენს ქვეყანასა, ამბავს სულდგმეული გაზფაფხული და ეუბნებან შეიტანეს სიტოცხლე და სიხარული.

კარგი ხანია, რაც აღარ გეინასმის ასეთი ცხოველი მზე, ასეთი კაშკაში ლაკეარდოანი ცა. ფიდა მეტად მშვენიერი იყო, სადამ უფრო უკეთესი. სულ შეხეფილნი ზამთრის უსიამოენო ფდეკნით ფიდი და პატარა, ფარანი და ფდადარი, მიეჩქარეს კარზედ, კიცს სახლში აღარ ფდეკნა ეული. ეულს უნდა დასტეგეს ფდის მშვენიერებაი, სეულ სწეურის კაზფაფხულის სეფთა ჰკერი. სამეუხარედ, ჩვენის ბედნიერ ქალაქის ქეჩებს არ შეუფდიან ფაკეამეოფიდოს ჩვენი აღფერთონებული გრძნობა და ჩვენც ძალუნებურად გაკვეგზავრებით ხალმე ბასოფეშნის გზა-ტკეცილისაკენ. აქ მართალეტ სასიამოენო სეარნობა: მოდგდებულ ფდინრის ტკეფ ზვირთების კამოობა, მჩქეფარე წყლის ხმაურობა და ეკირიდი მოსდენით ასურათებს მოართულ-მოკაზმულს სალამს.

უნდა გამოტეფდეთ, რომ ის გზა-ტკეცილი, სადაც ფდეში ათასი ადამიანი მიდის და მოდის, უფრო სეფთად, უფრო ფეკნიზად არის შენახული, ვიდრე ჩვენის ქალაქის ქეჩები. კიცს არ გეკეგზავა ჩვენს უსეფთაო, ბინძურ და მეფალ ქეჩებზედ. თუმცა ჩვენი მოეურნენი ზნიარად აუკვ-ჩამოუკვდიან ხალმე ამ ბინძურ ქეჩებს, მაგრამ მაინც კარ შეუმჩნეიათ ასეთი უსეფთაობა... უეჭეფდა ინიტოემ, რომ ამ კაკეპტონუს თკეფი და ეული შეუჩეკეიათ... რაც ხანი ჩვენი ქალაქი თავის ბედ-კრეფდის ქეჩებით დაკარსებულა, მგონია არ დაკვიდა და არ დასეფთავებულა. მერე ის სამაკვალი ჩვენებება მდასიო ხალხისა, რომელსაც ზოდიდეა ძალიან **გულკრიალად** უფურებს, უფრო ხელს უწეობს ქალაქის სიბინძურეს. ეზოს დაჰკვიან, თუ სახლს, ნაგავს და სხვა უშინდურებს ქეჩებში ჰეერანდ. მიეჩქეკეთ ეფარდებებს, ვისაც ეკერ აარს, და მოეკონებთ, რომ ჩვენს ქალაქს მოალის სიშინელი განსაცდელი და ეერც ასცდავ უფეფრებს, თუ ქალაქის სისეფთაოეს არ ეკმნნ მაქცეული განსაკეთრებული ეურადღება. თაიდი, ცხოველი გაზფაფხულის დღე რამდენადაც სასიამოენო და მარკვეველია სეფთა და ფეკნიზ ქალაქისათვის, იმდენად სიშიში და მაეჩენელია უსეფთაოოსისათვის. თოფდ ჭეკ დამარსნდა ბინძურება, უსეფთაობა, გამთბარი მზის ცხოველ შეეფთა, ისარწუნა და სწარმდაეს ჰკერს. ასეთის წამსდარ ჰკერით სეფნეკეს, რა შედეგიც მოაქეს კიცის ჯან-მრთელობისათვის, ეს, მგონია, ე

ბას ძველად ჭალატობენ. ქიულ სიმონი, მაგალითად, ისეთი კაცია, რომ მზად არის კაცთ-მოყვარეობისათვის დასთანხმდეს, სახელმწიფომ მფარველობა გაუწიოს დედაკაცებს და მცირე-წლოვან ყმაწვილებს, როგორც სუტყ არსებათა, მაგრამ არას გზითკი ისაა არ დასთანხმდება, სახელმწიფომ იკისროს ჰასაკოვანის კაცის შრომა თვის მფარველობის ქვეშე მიღოს, მისი მეტ-ნაკლებობა კანონ-მდებლობით განსაზღვროს და სხვ. ვიდრე საქმე კაცთ მოყვარე დაწესებულებას შეეხება, ქიულ სიმონი ისეი მოძმრეა და საფრანგეთში არც ერთი ისეთანა საზოგადოება არ დაარსებულა, რომ ისაა შემწეობა არ აღმოეჩინოს და თითონაც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს, მაგრამ რაკი საქმე ისაზედ მიეარდება, რომ სახელმწიფო ჩარეიოს და მფარველობა გაუწიოს ჰასაკოვან მუშებასო, ქიულ სიმონს ჭგონია, რომ ეგ ადამიანის თავისუფლების შეხუთვა და შეზღუდვა იქნება, ეგ იქნება დაბრუნება იმ ძველის დროისი, როცა სახელმწიფო, როგორც ჭნებავდა, ისე ჭხუთავდა სუტს კერძო კაცსაო. ქიულ სიმონი თავისუფლების მომძრეა ყოველისფერში. ამ თავისუფლების ტრფიალებით მოსდის, რომ ეწინააღმდეგება პროექტს მწერლობის თავისუფლების შეზღუდვისას, თუმცა ჭხედავს, რომ თავისუფლებას დიდი თავ-გასულობა მოსდეეს. მაგრამ იმავე თავისუფლების ტრფიალით მოსდის, რომ კლერიკალებს ურჩევს, ებრძოლეთ ახალს სასკოლო კანონსაო, კათოლიკეთა სამღვდელოების სახელმწიფოსაო, მუშაობის პატრონებს—მუშებსაო. მერე ისიც მაშინ, როცა არა თუ სახელწიფო, არამედ ქალაქის გამგეობაც-კი საჭიროდ სთვლის მუშებს მიემხროს. აი ასეთი კაცია ქიულ სიმონი, რომელიც პრეზიდენტია საფრანგეთის მიერ გაგზავნილ დელეგაციისა მუშათა კონფერენციაზე ბერლინში. ისისგან, რასაკვირველია, დიდს არას უნდა მოელოდნენ მუშები. საფრანგეთს ამის

დარღიც არა ჭქონდა. საფრანგეთს უფრო ის აწუხებდა, რომ იქ მაზე არა დაგვიგონ-რაო. ისეთი კაცი უნდა გაეგზავნოთ ბერლინში, რომ აქეთ-იქეთ თვალ - გაფაციცებით იცქერიდეს, ახალისა და დიდის საქმეების გამოკიდებაკი არ დაიწყოს, არამედ იმის უყურის, რომ რესპუბლიკას ღირსეული წარმომადგენლობა გაუწიოს უცხო ქვეყანაში, მერე ისიც ჩვენის მტრების ქვეყანაშია. ქიულ სიმონიც ამისთანა მინდობილობას, რასაკვირველია, ურიგოდ არ შეასრულებს. იგი კარგი მოლაპარაკეა, მოხერხებული კაცია, გულ-ტკბილი და ესეთამინერო. შეუძლიან მოჭხიბლოს, აღტაცებაში მოიყვანოს მსმენელი თავის მესაიუთთ, თავის ჭკეანის ლაპარაკით. თან ისეთი თავ-დაჭერილიც არის, იმდენი შუო და უნარიცა აქვს, რომ ერთვერ მოატყუებს, რესპუბლიკის გამიაბარუებას იმასთან ერთვერ გაჭბედავს და თუ გაჭბედავს, ღირსეულს პასუხს მიიღებსო. თუ მაინც და მაინც ლიბერალობაზე მიდგა საქმე, მაინც ჩვენი დელეგაცია უფრო მეტს ლიბერალობას გამოიჩენს, ვიდრე სხვათა დელეგაციებიო. მუშებისა და ხელოსნების ყოფნა ჩვენს დელეგაციაში ხომ დემოკრატულს ფერსა და იერს დასდებსო.

უნდა ესთქვათ, რომ ბურჟუაზიც, არა თუ ყველგან ევროპაში, თვით გერმანიასა და საფრანგეთშიაც, ცოტა არ იყოს გულში ხაფათი მიეცა გერმანიის იმპერატორის რესკრიპტების გამო. მდიდრებმა, შეძლებულებმა, სამუშაოს პატრონებმა იფიქრეს, ეს საქმე სახუმარო საქმე აღარ არის, თვით გეიროგენოსანი მეფე უწევს მოხერეობას მუშებს, მერე ისიც მეფე უძლიერესის სახელმწიფოსაო. ეხლანდელი მთავრობა საფრანგეთისა ხომ მაინც და მაინც უფრო ბურჟუაზიის მომძრეა, ვიდრე ღარიბის უმრაველესობისა. ამიტომაც ამ მთავრობამ აიღო და გაგზავნა ასეთი დელეგაცია, რომელიც არც ერას გააკეთებს დიდს და

ტუზები საკოცნელად მიეკარებინა, სარკმელს კენწესაკით რაღაც მოხედა. ღათო შეკრთა, ნიკომ თვალი გამოაბიღა და გოიცებით შეჰხედა ღათოს, რომელიც შიშითა და სირცხვილით ვერ განძრეულიყო, მაგრამ, რა დაინახა ნიკომ, რომ ღათოს ხელები ისის ტანისამოსზე ელაგა, ისეე მალე დახუჯა თვალები და ღათოს ზურგი შეაქცია. ღათო რამდენსაც წამს ვერ ახერხებდა ადგომას. იმან დაინახა ნიკოს გახელილი თვალები და გაქვავდა. ბოლოს კანკალით წამოდგა და ბარბაკით ოთახიდგან გაეიდა. ნიკომ ჩუმად თვალი გაადევნა.

— რატომ წინადეე არ მიეისახრე, რომ შეიძლება ფული ესაპრიოებოდეს, უსაყვედრა ნიკომ თავის თავს: საცოდავი, ეტყობა ხვალ დღეობაში მიდის და ფული სჭირია. რა რიგად შერცხეა, ქურდობაში რომ დაეიჭირე!

— ღათო, ჩემო ღათო, აქ შემოდი! დაუძახა ნიკომ.

ღათო გაწითლებული, დარცხვენილი კარებში გაჩერდა.

— მომიახლოედი, ჩემო ღათო, ხვალ დღეობაში არ მიდიხარ, ღათო?

— არა, ბატონო, მგლრეიარუდ გახლავართ, უპასუხა ღათომ.

— ერთი ფეხი გადაუბრუნდა საწყალს და ეხლა თავს ეეიარ იმაგრებს, ჭფიქრობდა ნიკო. ტაუოლს მეუბნება, მაგრამ არ უნდა შეეამჭნეეინო, ეითომ არც-კი ეიცი, სად არის ჩემი ტანისამოსი.

— რა დროს შეენ ვლოეიარობა არის, რას ამბობ: უნდა წახეიდე. მომიტანე ერთი .. სად დაეალაგე, რა ექნა, ჩემი ტანისამოსი? მგონი იმ ოთახში არის!..

— მანდერა, ბატონო, უპასუხა გულწრფელად ღათომ და მისაჭდომად ხელი წაეალო.

— ეერც-კი ახერხებს თვალი ამიხეიოს! გაიფიქრა ღიმილით ნიკომ და ჯიბიდგან პორტმანე ამოიღო.

— აი, ღათო, რამდენიც გინდა, ამოიღე ფული. ხვალ იქ იყიდი რასმე შენთვის.

— არ მინდა, ბატონო, რისთვის მინდა?! უპასუხა მორცხვად ღათომ და და ორი ნაბიჯი უკან გადასდგა.

— ე, ნუკი გამაჯავრებ, ღათო, უთხრა ალერსით ნიკომ: აი მე თითონ მოგცემ, აჰა ხუთი მანეთი. ხვალ მუსიკა იყიდე. მოდი, ჩემო ღათო, შენ აკი მითხარი, ბატონისთანა ძალელ არაეინ მიყვარსო. აბა თუ გიყვარარ, აიღე.

ღათო ნელა მიეპარა ნიკოს: რამდენსაც წამს ანთებულის სახით დასცქეროდა იმის ხელს. მერე უცბად მოაელო ნიკოს ხელს ხელი, აკოცა და გაიქცა.

ნიკოსთვის ყოველივე ესე ისე მოულოდნელად და უცბად მოხდა, რომ გაშტერებული დარჩა. ბოლოს ერთი

თომ არც-კი ეიცი, სად არის ჩემი ტანისამოსი.

— რა დროს შენი ელოეიარობა არის, რას ამბობ: უნდა წახეიდე. მომიტანე ერთი .. სად დაეალაგე, რა ექნა, ჩემი ტანისამოსი? მგონი იმ ოთახში არის!..

— მანდერა, ბატონო, უპასუხა გულწრფელად ღათომ და მისაჭდომად ხელი წაეალო.

— ეერც-კი ახერხებს თვალი ამიხეიოს! გაიფიქრა ღიმილით ნიკომ და ჯიბიდგან პორტმანე ამოიღო.

— აი, ღათო, რამდენიც გინდა, ამოიღე ფული. ხვალ იქ იყიდი რასმე შენთვის.

— არ მინდა, ბატონო, რისთვის მინდა?! უპასუხა მორცხვად ღათომ და და ორი ნაბიჯი უკან გადასდგა.

— ე, ნუკი გამაჯავრებ, ღათო, უთხრა ალერსით ნიკომ: აი მე თითონ მოგცემ, აჰა ხუთი მანეთი. ხვალ მუსიკა იყიდე. მოდი, ჩემო ღათო, შენ აკი მითხარი, ბატონისთანა ძალელ არაეინ მიყვარსო. აბა თუ გიყვარარ, აიღე.

ღათო ნელა მიეპარა ნიკოს: რამდენსაც წამს ანთებულის სახით დასცქეროდა იმის ხელს. მერე უცბად მოაელო ნიკოს ხელს ხელი, აკოცა და გაიქცა.

ნიკოსთვის ყოველივე ესე ისე მოულოდნელად და უცბად მოხდა, რომ გაშტერებული დარჩა. ბოლოს ერთი

არც არას წაუხდენია. თორემ საფრანგეთში იმისიც კი ეფიქრებოდათ, რომ ეკი, თუ გერმანიამ იმიტომ თითონ ეგ საქმე შეუშვიბა, რომ უნდა მოიპოეოს სიყვარული ქვეყნისა, ევროპისა, მუშა ხალხისა და, პოლიტიკურად გამთავრებულს ზნეობრივად გამთავრებაც უნდა, რომ მით ეს ზნეობრივი მთავრობა წაართვას საფრანგეთსაო. მერე ეხლა ბისმარკისგან შემოღებულის ჯართა გამრავლების წესებით ისე მძიმულებულია ყველგან გერმანია და ამით უნდა მაინც ფონს გაეიდესო. თუ ჩვენ გვინდა ეგ განზრახვა ჩაუშალოთ გერმანიას, ჩვენ უნდა დაეიწყოთ დიდი რეფორმებია, რომ ამ საქმეშიაც ისეთივე პირველობა გაეწიოთ, როგორც ყველა სხვა საქმეებშია. მაგრამ ჩვენ რომ მთავრობა გეყავეს, იმის იმედს ეხლა ვერ ვიქონიებთო. ქვეყანა სულ იმას იძახის, ახალი ხარჯი და ბეგარა არა შემოეიღოთორა, ცხოვრება ძრიელ გაძვირდა, უნდა გაეაიაფოთ როგორმე, ბაკები შეეამციროთო, ახალად ნულარ ვისესხებთ ფულს ხაზინისათვისაო, მაგრამ ჩვენ-კი ამავეს ვერ მოვრჩითო, რუმეთა და ტირარამ ამეებს ყურადღება არ მიაქციეს და ურჩიეს მთავრობას, შინვე ფული ვისესხოთ და 120 მილიონის ბაკი შემოეიღოთ სხვა-დასხვა სასმელ საქმელისა და ჩასაცმელ-დასახურავზეო. ტირარი-კი გამოეთხოვა სამინისტროს, მაგრამ რუეე ახალ სამინისტროშიაც დარჩა და ამ მხრით მაინც კიდეე ხეირი არ იქნებაო...

წვრილი ამბები

გაზ. „Figaro“-ში სწერია: ერთი ადგოკატი მოწმად იყო დასაბრუნედი სასამართლოში. „ბატონო ადვოკატო, მიუბრუნდა თავმჯდომარე ადვოკატს: გთხოვთ ამ სასნდ ოქვენი სელობა დაიგეწყოთ და მართალი ალაპარაკოთო“.

— ჩვენს მეგობრებს უკვე მოეხსენებათ, თუ რა არის „ნონა“. ახლა ეს

ჩაიცინა, სანთელი გაანქრო და, მანამ ჩაიძინებდა, თავის თავს ჭკითხა:

— ნეტავ და რომ მყავდეს, ახე ეეყვარები? ნიკომ თვითეე გადასჭრა... დის სიყვარული სხვა არის, ცოლისა სხვა და გოგოსი კიდეე სხვა. გადასჭრა ისე, თითქო ან გამოეცადოს, ან დიდხანს ეფიქროს ამ საგანზეო.

ღათო გულის კანკალით შეეარდა მოხუცის ოთახში; მოკანტული მოხუცის წინ მუხლებზე დაეშვა და კისერზე შემოეხვია. მოხუცი არ ჰჩქარდა ეკითხნა, სად იყავ აქამდეო. ჯერ ჩაიხუტა. აკოცა და მერე, თითქო ეზარება ღათოს შეწუხებაო, ჭკითხა:

— რა იყო, ღედა?

ღათოს ხმის ამოღება ვერ შეეძლო. უძრავად მოხუცის გულზე მიყუდებულს, გული საშინლად უცემდა და სული უგუბდებოდა. კარგა ხანს იყო ამ ნაირად ღათო. იმან ყველაფერი, რაც შეემთხვა, რამდენჯერმე გაიმეორა აზრით და ყოველთვის, როცა ის წუთი მოაგონდებოდა, ნიკოს ხელზე რომ კოცნა დაეპირა, ტანში ერეანტელი დაუელიდა და უფრო მიეხუტებოდა მოხუცს. ბოლოს, როგორც იყო, დაშოშმინდა. მოხუცი განუწყეტელი ეკითხებოდა: „რა იყო? რა გითხრაო?“ ღათომ არ იცოდა, რა პასუხი მიეცა. ბოლოს უცბად, თითქო რაღაც მოაგონდაო, ჭკითხა:

— პაპა, არ გახსოეს, ბატონს რომ ერთ ზაფხულს ნიღლა მეელის ქერი-ვე ეწვია?

— არა, შეილო, ეინ ქერიეი იყო?

— როგორ არა, გახსოეს! იმას მაშინ ერთი პატარა ქალიც ჭყავდა; ნიკომ ბძანა: ეწლა ისეთი ქალი დამდგარა, ლამაზი! მალე აქ მოეიყვანო.

— მართალს ამბობ, შეილო? ეგებ ბატონმა ჯეარი დაიწეროს! ეინ იცის! თუ მართალა მოსწონს, ემის ქალს არაეინ დაუეერს.

ღათომ თვილები გაეჭიეტა. ეს აზრი იმას სულ არ მოსელია თავში.

— განა მე ესთქეი, პაპა, რომ ჯეარს იწერს მეორე? ჭკითხა მას ღათომ.

— არა, შეილი, მე ეამბობ... იქნება! რა ეიცით... მაშინ ქალბატონი გეყოლება.

— ჭო, პაპა, დაუმატა სიხარულით ღათომ: იმსაც ეყვარება ბატონი! უი, რა მიხარიან ბატონს ჯეარის წერა ქორწილი რომ იქნება!... მეფე და დედოფალი... ორიეე კარგები... რა ძალიან მეყვარება, პაპა, ქალბატონი, იცი... ბატონი ხომ ეტყვის, რომ მე ის ძალიან მიყვარს!... ქალბატონიც შემიყვარებს.

— ჭო, დედა, ჭო, თანხმებოდა მოხუცი: შეგიყვარებს.

— ბატონი სულ იმას დაუწყებს კოცნას, ალერსს. მე?...

— შენც არ მოგაკლებს, შეილო, მოწყალებას..

— ჭო, მეც გამიცინებს... მე იმის მაგიერად ქალბატონს ხელიებსა და მუ-

ზე, დიდ-ძალი მეშა ხალხი უსაქმოდ დაიარება. მუშათ მიერ ბირის შეკვრა და მუშობის ჯეკეთა სასტიკად აღერძდეულია მთავრობისაგან.

— ოდესის მოუთმენლობით ელოდნ თურმე სტუნლის თხზულებათა დაბეჭდვას ბეერგან ეკრიბესა და ამერიკაში. ეს თხზულებანი, ს

დეპეშა

13 მარტი

პეტერბურგი. ლიფლიანდიის ეიცეგუბერნატორი ტობიზენი დანიშნა ტომსკის გუბერნატორად.

რომი. ინგლისი და იტალია ერთმანეთში მორიგდნენ იმის შესახებ, რომ საერთო ძალითა და ლონით დაემშვიდოთ სუდანი. იტალიანებისნი ჯარი კასალასკენ წავა და ამავე დროს-კი ინგლის-ეგვიპტის ჯარი ჩრდილოეთიდგან შეუკრავს გზას დერვიშებს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა პირველ წაკითხვისათანავე პროექტი, რომ მოიჯარადრეებს შეეძლოთ ირლანდიაში მამულის მოპოვება. ამისათვის საჭიროა 33 მილიონი სტერლინგი, განსაკუთრებულის ფონდით უზრუნველ-ყოფილი.

სოფია. 9/21 მარტს დაუპატიმრეს ფილიპოპოლში სერაფიმოვისა, რუსის ექიმის მეუღლე. სახლი გაუჩხრიკეს ამ დედაკაცს, რამდენიმე ქალალდი უპოვნეს და შემდეგ განათავისუფლეს.

ბერლინი. მღვიმე-მაღაროებში მომუშავე მუშათა შესახებ მომლაპარაკებელმა კომისიამ დაადგინა, რომ შემცირებული იქმნას მუშაობა იმ ადგილებში, სადაც მომუშავეებს სიკვდილისა და ავად გახდომის შიშთან დასდგეთ. კეირაობით დასვენების კომისია იმ აზრისაა, რომ კონფერენციის საზოგადო კრებაზედ იქმნას გადაწყვეტილი, თუ რომელ მუშებს მიეცემ ნება კეირაობით მუშაობისა. დედაკაცთა და ყმაწვილთა მუშაობის შესახებ შეკრებილმა კომისიამ დაადგინა, რომ 14—16 წლის ყმაწვილები არ უნდა ჰმუშაობდნენ ხოლმე ღამ-ღამე და კეირაობით და საზოგადოდ-კი მუშაობა მხოლოდ დღეში 6 საათსა ჰქონდეთ საათ-ნახევრის დასვენებითაო. ამას გარდა გადაწყვეტილ იქმნა, რომ 16—18 წლის მუშათათვისაც განსაკუთრებული ეადა დაიდვას მუშაობისა და იმათაც აღარ ძალული ქონდეთ ღამ-ღამე და კეირაობით მუშაობა.

გამოცხადებულია შემდეგი დეპეშა იმპერატორ ეიოსეფმის, ერთს განსაკუთრებულ სანდო კაცთან მიწერილი 22 მარტს: „გულით გმადლობთ თქვენს წერილის მოსწერისათვის. მარადის-და დიდი სიმწარე გამოვიარე და ბევრი გაეჭირება გამოვიცადე. ჩემი გული ისე იტანჯება, თითქოს ხელმწიფედ მომკედომოდეს პაპაო, მაგრამ ღვთის ნებაა ალბად. მაშ ასე, უნდა ავეტანო ყოველივე ეს, თუნდა დალუპვაც მეწეროს ბედად. წილად მხვედა პირველ რიგის აფიცრობა სახელმწიფო გემზედ. გზა იგივეა და იმავე სისწრაფით უნდა ვიაროთ.

პარიზი. პოლიტიკოსთა შორის დიდი ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ პრეზიდენტი კარნო „ასანიოს“ პირველ წარმოდგენასა და ელისეის სასახლეში გამართულ კონცერტზედ განსაკუთრებულის პატივისცემით ეფცეოდა ბატონს მორენჰეიმსაო.

14 მარტი

ასსაბადი. მეშხედიდამ მოვიდა ამბავი, რომ სანდო კაცი სპარსეთის შაჰისა, რომელსაც დაეალებული აქვს მოელაპარაკოს რუსეთის სამეხანიკოდ და მაშინების მკეთებელ ქარხნების პატრონებს სპარსეთში რკინის გზის გაყვანის თაობაზე მარტის დამლეგის თვის მიდის პეტერბურგსაო.

ბერლინი. გარეშე საქმეთა მინისტრობას, როგორც ამბობენ, უპირობენ ბრუსელში ელჩად მყოფს ფონ-ალვენლებენს.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მარტი.

	მოთხოვნილ.	ფასი	გაყიდულ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ნუნ-მანეთიანი ოქრო .	— „	„	7 35
ტამბოვის კუპონები . .	— „	„	147¼
მანეთიანი ვერცხლის ფული	1 08	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	235	— „	— „
—მეორისა	— „	— „	220
—მესამისა . . .	— „	— „	217¼
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	98¾
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	98½
ტფილისის საერთაერთო ნდობის საზოგადოებისა	87½	— „	— „

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

ს—სს. შ. ს—ძეს. თქვენს ნაწერს ვერ ვარჩევო. გარკვევით მოწერეთ ხოლმე, ან სხვას გადაუწერინეთ, რა მოწერაც (გნებავდეთ, თორემ ყოველად შეუძლებელია ამოკითხვა და გაგება აზრისა,

X—ს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება იმიტომ, რომ ლექსი არ არის. თქვენს ლექსში (?) არც აზრია, არც რითმაა, არც ნასწავლი ბოეშიისა. აი მაგალითად, როგორ მოლექსეთ:

ფარული მინდორი არად მიმაჩნდა,
მისთვის სამდერელად არა მცალიან;
მათ დარჩეს იგი, ვისაც დაარჩდა
მუშას მონობა და უიმისოდ ვერა ჰქადიან,
და სხვ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყე (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდგან 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქრონონიკონი—ᲣᲫᲛ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქრონონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედადებანი—17.

მარტი 31 დღეი არის

15 დღეი ხუთშაბათი. ქართველ. წმ. მოწამეთა ალაპისი და მისთანათა. კათოლ. წმ. მატიოლდასი, ზაქარიასი და ჰეტრუსი. სომეხ. 32 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—51, ჩადის 6—21. ჭეშმარიტი შუადღე 12—5. მოვარე 7 დღისაა.

16 დღეი პარასკევი. ქართველ. წმ. მოწამისა სპასიანესი. კათოლ. წმ. ლონგინოსი, ლეონორეისი და ლეონინესი. სომეხ. 33 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—50. ჩადის 6—22. ჭეშმარიტი შუადღე 12—5. მოვარე 8 დღისაა.

17 დღეი შაბათი. ქართველ. ღირსსა მამისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. წმ. პატრიცი, იულიუს და გილიარიუს. სომეხ. 34 დღე დიდ-მარხვისა წმ. მამ. გრიგოლ. განმანათლებლისა. მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—მოვარე 9 დღისაა.

18 დღეი კვირა. ქართველ. წმ. კირილე, იერუსალიმელ პატრიარქისა. კათოლ. წმ. გერტრუდასი, პატრიკისა და ბოლეესლავასი. სომეხ. 35 დღე დ-დ-მარხვისა. წმ. სიბასტიას ორმეოცთა წამებულთა. მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—48. ჭეშმარიტი შუადღე 12—4. მოვარე 10 დღისაა.

19 დღეი ორშაბათი. ქართველ. წმ. ზვარისთანე და დარხი. კათოლ. წმ. იოანესისა, ეპრაიმისა და იაკობისა. სომეხ. 36 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. მოვარე 11 დღისაა.

განცხადებანი

ჩვენ წავართვეთ ძმათა პეტროგოკონოს ოდესის ფირმის იმის უფლება, რომ უეიდოთ ჩვენი.

საზოგადო წასასმელი

ლიმონათა საწამლავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის ძირსედ!

წავართვეთ იმ მიზეზით, რომ იგი საქეეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლიმონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალს წასასმელსა ჭვადის, ჩვენის ფირმაკის უფროს მსგავსს ეუფთ გაეთებულს.

—შემოგაკვლევლებ ეთხოვეთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკეთონ.



ყოველებსა ეთხოვეთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისს. ეს სურათი ლიმონთნის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფზს ასეთი სურათი არა ექნეს და მსოფლიდ ამისი მსგავსია, ეყალბი იქნება.

(26—6)

„სიჭაბუკის ლოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმითვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თვა-ეშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორანსიისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—დის მიერ.

ფასი ერთი მანეთი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშველებია დასნეულებული ზამბსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ფანისა და ლონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი სამა-დარბაზელი მოსკოვის საცენზორო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერ.

გერთან ფეიტეგზ—Otto Asperger Leipzig (საქსონია). უფრო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იზდიან.

(52—48)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაგალითად შეიძინეთ

ჟურნალ „ნოგათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სასამუშაოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რაცხვით ᲐᲗᲘ წიგნი, ზედ დამატებით ცალკე ეწიგნად დაბეჭდილ წიგნისა «დომკეტი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაბარებს, გასაგზავნი სარჯი მეიდეკლმა უნდა იგიხროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ასადი წიგნებიმან. კაკ.

ორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახ. ნაზაროვისა . . . . „ 40

იაენანამრა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . „ 10

კედლის კალენდარი ჩარკეიანისა . . . . . „ 40

სახალხო კალენდარი 1890 წ., ალექსანდრ გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . „ 10

საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . . „ 10

საერთო კედლის კალენდარი, 1890 წ. ეკ. ხელაძის გამოცემა . . . „ 52

ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი . . . . „ 30

რძის ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲜᲔᲡᲢᲚᲔᲡᲘ

ᲕᲔᲜᲪᲔᲚ. ᲛᲝᲚᲝᲩᲜᲐᲯ ᲛᲣᲚᲐ. Генрихъ Нестле

ᲯᲣᲯᲣ-ᲫᲛᲝᲕᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲮᲠᲓᲝᲑᲚᲐᲓ

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, აგვალად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწოვა.

მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საᲮᲠᲓᲚᲝᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ, თუ ᲡᲣᲚᲗᲐ ᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ.

ᲬᲧᲐᲚ-ᲑᲐᲛᲘᲪᲚᲘᲚᲘ, ᲒᲐᲡᲐᲛᲔᲖᲣᲚᲘ ᲠᲫᲘ ᲜᲔᲡᲢᲚᲔᲡᲘ ᲯᲚᲘᲠᲘᲡ 85 ᲙᲐᲞ.

იწოდება ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ: გვეკასიის სასაფოიაში საქონელთა მოგაჭრე ამხანაგობასთან, ა. ᲬᲣᲠᲘᲜᲝᲕᲘᲡ, ა. ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲡ, Გ. ა. ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ, Გ. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡᲗᲐᲜ და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და სავაჭრო-ლმანო მაღაზიებში.

ᲣᲛᲗᲐᲡᲔᲠᲘᲡ Ѣ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, ᲒᲠᲐᲜᲘᲩᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 3; ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐᲛᲓᲘ, ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲨᲘ.

საწყობი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲜᲪᲔᲚᲗᲐᲜ.

ერთად ერთი აგენტი მთელის რუსეთისა *Александръ Энцель*

მაქვს პატივი ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲔᲪᲜᲝᲗᲐ, რომ მე ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲡᲘᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲣᲠᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რომელსაც ᲓᲣᲠᲩᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ და რომელზედაც ხელი მოკურადი ალექსანდრე ენცელისა, ᲩᲔᲛᲘᲡ ერთად ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ᲔᲠᲜᲔᲡᲢ ᲜᲔᲡᲢᲚᲔ, ᲒᲔᲒᲔᲨᲘ (ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ).

(12—9)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ, ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ,, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲩᲘᲗᲐᲮᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲒᲠᲣᲪᲘᲡᲙᲘᲡ, ᲒᲕᲘᲠᲗᲨᲘ, ᲒᲐᲒᲛᲐᲠᲗᲣ ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲗ:

„ᲓᲐᲜᲘᲐ“

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲛᲝᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲝᲛ ᲝᲗᲮᲝᲑᲘᲡᲐ 60 ᲙᲐᲞ. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ 5 ᲛᲐᲜᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔᲨᲘ.

ᲗᲗᲕᲔᲚᲘᲗᲘᲗ ᲑᲘᲗᲠᲐᲓ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘᲐ.

ᲛᲣᲨᲐᲠᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲔᲑᲚᲔᲗ ᲓᲐᲜᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ: ᲡᲘᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡ ᲤᲧᲚᲘᲡᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, რომ მოსამსახურე ქალი და კაცი თავაზითა და პატივის ცემით მოკურეეთან მდგარნი.

ᲡᲐᲥᲘᲛᲔᲚ-ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲚᲘᲐ, ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ, ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲓᲦᲔᲚ ᲝᲠ-ᲤᲘᲠᲘ ᲡᲐᲥᲘᲛᲔᲚᲘ—55 Კ. } ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲤᲘᲜᲯᲐᲜᲘ ᲧᲐᲯᲐ.
— ᲡᲐᲛ-ᲤᲘᲠᲘ ᲡᲐᲥᲘᲛᲔᲚᲘ—75 Კ.

ᲒᲕᲫᲘᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲝᲬᲡᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲠᲩᲔᲜᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲓ.

(30—6) ᲜᲝᲛᲘᲠᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐ
Ბ. Ფ. ᲔᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ
ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ
Ე. Ფ. ᲐᲣᲨᲠᲐᲰᲐᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ,
მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲒᲣᲗᲜᲔᲑᲘ

ერთ-სახნისიანი დრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამშვენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვენელის გამომრჩევი და სხვანი.

ᲡᲐᲛᲙᲐᲚᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ.

ᲡᲐᲗᲘᲗᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ

ᲗᲝᲠᲩᲚᲔᲑᲘ, სთოსა მაშინები, სარეში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—9)

LE CAUCASE ILLUSTRÉ

RÉDACTEUR EN CHEF: J. MOURIER

IMPRIMERIE MARTIROSSIANTZ—TIFLIS

Prix de l'abonnement: Tiflis, un an: 10 roubles; Russie et Caucase: 12 r.; Union Postale: 14 r

(6—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 14-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Меликъ д. бр. Месхіевыхъ